სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.ახალქალაქის №3 საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე

01. 10. 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.ახალქალაქის №3 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი დირექტორის, ლელა ჭინჭარაულის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლებისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კურსს-„ინკლუზიური განათლება“ და ასევე სასკოლო პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან/შესაბამის აქტივობებს შეასრულებენ სკოლაში, რისთვისაც განხორციელდება ერთობლივი საქმიანობა შემდეგი მიმართულებით:

ა). მითითებული პროგრამების ფარგლებში სტუდენტები შესაბამისი პრაქტიკის საათებს ჩაატარებენ სკოლაში.

ბ). სასწავლო პროცესში დაცული იქნება პროგრამებით გათვალისწინებული საათების რაოდენობა.

2. სკოლა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამების სტუდენტებს პრაქტიკის განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობით.

3. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

4. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულბული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

6. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

7. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობისქ.ახალქალაქის№1 საჯარო სკოლა
რექტორი, პროფესორი	
მერაბ ბერიძე	დირექტორი
	ლელა ჭინჭარაული